REFLECTION OF THE AREOPAGITE CONCEPT OF GOOD AND EVIL IN ROMANTICISM AND EARLIER LITERATURE

კეთილისა და ბოროტის არეოპაგიტული კონცეპტის ასახვა რომანტიზმსა და წინარე ლიტერატურაში

Tamar Akhalkatsi
Doctor of Philology,
Sukhumi State University,
Georgia, Tbilisi, Anna Politkovskaya #61, 0186,
+995 574 02 69 35, akhalkatsitamar06@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-8578-3547

Abstract. This article examines the reflection of the Areopagitic conception of good and evil in Georgian Romanticism and earlier literature. The study focuses on the philosophical doctrine of Pseudo-Dionysius the Areopagite, according to which good represents absolute perfection and the primordial essence, whereas evil is not an independent substance but rather the result of deviation from and privation of good.

The article analyzes the evolution of this philosophical concept in Georgian literature, beginning with early Christian hagiographic works (The Martyrdom of Shushanik, The Martyrdom of Abo), where evil is represented as an external hostile force. In the 11th century, following Ephrem the Lesser translation of Areopagitic texts into Georgian, Pseudo-Dionysius doctrine exerted considerable influence on Georgian literary thought. This influence is particularly evident in David the Builder Penitential Hymns and especially in Shota Rustaveli The Knight in the Panther Skin, where the relationship between good and evil assumes an ontological character.

The study also examines the continuity of Areopagitic ideas in Georgian Romanticism, particularly in the works of Nikoloz Baratashvili, Grigol Orbeliani and David Guramishvili. Although Romantic poets may not have been directly familiar with Areopagitic philosophy, their creative works reflect an inertial continuation of this philosophical doctrine, which had been established in Georgian literature during the Renaissance period. For the Romantics, good was associated with national and personal freedom, while deviation from it generated evil forces. This study underscores the significance of Areopagitic doctrine in the formation of Georgian literary tradition and worldview.

Keywords: Areopagitic theology; Pseudo-Dionysius the Areopagite; good and evil; Georgian Romanticism; Neoplatonism; Georgian literature.

თამარ ახალკაცი
ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186, საქართველო,
+995 574 02 69 35, akhalkatsitamar06@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-8578-3547

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია კეთილისა და ბოროტის არეოპაგიტული კონცეპციის ასახვა ქართულ რომანტიზმსა და წინარე ლიტერატურაში. კვლევა ფოკუსირებულია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიურ მოძღვრებაზე, რომლის თანახმად სიკეთე წარმოადგენს აბსოლუტურ სრულყოფილებას და პირველ არსს, ხოლო ბოროტება არ არის დამოუკიდებელი სუბსტანცია, არამედ სიკეთისაგან დაშორების, მისგან დაცლის შედეგია.

სტატია ანალიზს უკეთებს ამ ფილოსოფიური კონცეპტის ევოლუციას ქართულ ლიტერატურაში, დაწყებული ადრეული ქრისტიანული ხანის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან (შუშანიკის წამება; აბოს წამება), სადაც ბოროტება წარმოდგენილია როგორც გარედან მომავალი მტრული ძალა. XI საუკუნეში, ეფრემ მცირის მიერ არეოპაგიტული ტექსტების ქართულად თარგმნის შემდეგ, ფსევდო-დიონისეს მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაზე. ეს გავლენა კარგად შეინიშნება დავით აღმაშენებლის ნაშრომში გალობანი სინანულისანი და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში, სადაც სიკეთისა და ბოროტის მიმართება ონტოლოგიურ ხასიათს იძენს.

კვლევა ასევე განიხილავს არეოპაგიტული იდეების უწყვეტობას ქართულ რომანტიზმში, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. რომანტიკოსი პოეტები, მართალია, შესაძლოა არ იცნობდნენ უშუალოდ არეოპაგიტულ ფილოსოფიას, მაგრამ მათი შემოქმედება ასახავს ამ ფილოსოფიური მოძღვრების ინერციულ გაგრძელებას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში რენესანსის ეპოქამ დაამკვიდრა. რომანტიკოსთათვის სიკეთე ასოცირდება სახელმწიფოებრივ და პიროვნულ თავისუფლებასთან, ხოლო მისგან გადახრა წარმოშობს ბოროტ ძალას. ეს კვლევა ხაზს უსვამს არეოპაგიტული მოძღვრების მნიშვნელობას ქართული ლიტერატურული ტრადიციისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: არეოპაგიტიკა; ფსევდო-დიონისე არეოპაგელი; სიკეთე და ბოროტება; ქართული რომანტიზმი; ნეოპლატონიზმი; ქართული ლიტერატურა.

შესავალი. კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართების პრობლემატიკა ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და მნიშვნელოვანი საკითხია ფილოსოფიურ და ლიტერატურულ აზროვნებაში. ეს თემა გადაიკვეთა ანტიკური ფილოსოფიიდან დაწყებული თანამედროვე აზროვნებამდე და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შემდეგ. არეოპაგიტული თეოლოგია, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელთან არის დაკავშირებული, უნიკალურ პერსპექტივას სთავაზობს ამ საკითხის გააზრებას. არეოპაგიტული მოძღვრების მიხედვით, სიკეთე წარმოადგენს პირველ არსს, ღვთაებრივ სინათლესა და სრულყოფილებას, ხოლო ბოროტება არ არის დამოუკიდებელი არსი, იგი არის სიკეთისაგან დაცლა, მისგან დაშორება.

ფსევდო-დიონისეს ფილოსოფიური მოძღვრება ეფუძნება ნეოპლატონურ იდეებს, კერძოდ, პლოტინისა და პროკლეს ფილოსოფიას, რომელიც გადამუშავებულია ქრისტიანული თეოლოგიის ჭრილში. მათი მოძღვრების ცენტრალური თეზისია სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა. არეოპაგელის აზრით, სიკეთე არის იგივე პირველი ერთი, მაგრამ თვისებრივად უფრო სრული. ის არის ყველა კეთილის მიზეზი და წყარო, რომელიც მომდინარეობს ღვთაებრივი სრულყოფილებიდან. აკადემიკოსი ლოსევის ინტერპრეტაციით, სიკეთის არასრულობა, მისი განსხვავება პირველ ერთთან, გამოიხატება ბოროტების არსებობით.

ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში არეოპაგიტული მოძღვრების გავლენა შეიმჩნევა იმ პერიოდიდანვე, როდესაც ეფრემ მცირემ XI საუკუნეში ქართულად თარგმნა არეოპაგიტული წიგნები. არეოპაგიტიკის პოპულარობა ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში განაპირობა არეოპაგიტული თეოლოგიისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის იდეურმა სიახლოვემ. როგორც აღნიშნავს მ. მახარაძე, არეოპაგიტიკას მიიჩნევენ ქრისტიანობის ნეოპლატონურ გადამუშავება და ნეოპლატონიზმის გადარგვად ქრისტიანობის ნიადაგზე. მანამდე, XI საუკუნემდე, ქართულ ლიტერატურაში სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება წარმოდგენილი იყო ძირითადად ბიბლიურ-ქრისტიანული დუალიზმის ჩარჩოში, სადაც ბოროტება აღიქმებოდა როგორც რეალური, დამოუკიდებელი ძალა.

რომანტიზმის ეპოქის ლიტერატურაში ამაღლებულის ასახვის ერთ-ერთი მხატვრული საშუალება, სწორედ, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებაა. რომანტიკული პოეზიის იდეის საფუძვლიანად გააზრებისათვის სიკეთისა და ბოროტის ურთიერთმიმართების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ მნიშვნელოვანია არეოპაგიტული მოძღვრების კონცეპტები სიკეთისა და ბოროტების შესახებ, ფსევდო-დიონისეს თეოლოგიური და ფილოსოფიური მსჯელობანი და ამ გააზრებების იდეური კავშირი ქართულ ლიტერატურასთან.

კვლევის მიზანია გამოავლინოს არეოპაგიტული კონცეპტის ასახვა ქართულ რომანტიზმში და წინარე ლიტერატურაში, გაანალიზდეს მისი ევოლუცია ადრეული ქრისტიანული ხანიდან დაწყებული რენესანსამდე და შემდეგ რომანტიზმის პერიოდში გაგრძელება. კვლევა მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურის ფილოსოფიური საფუძველი და როგორ გავრცელდა არეოპაგიტული აზროვნება სხვადასხვა ლიტერატურულ ეპოქაში. განსაკუთრებით საინტერესოა იმის დადგენა, თუ რამდენად შეგნებული იყო რომანტიკოსი პოეტების მიერ არეოპაგიტული ფილოსოფიის გამოყენება და რამდენად წარმოადგენდა იგი ინერციულად გაგრძელებულ ტრადიციას.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ქართული ლიტერატურის ფილოსოფიური საფუძვლების გააზრება მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურის იდენტობის შესაცნობად. არეოპაგიტული მოძღვრების კვლევა ქართულ ლიტერატურაში ხელს უწყობს იმის გაგებას, თუ როგორ ფორმირდებოდა ქართული ლიტერატურული

აზროვნება საუკუნეების განმავლობაში და რა როლი ითამაშა ამ პროცესში ბერძნულმა ფილოსოფიურმა ტრადიციამ.

მეთოდები. წინამდებარე კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს ფილოსოფიურ, ლიტერატურათმცოდნეობით და კომპარატივისტულ მიდგომებს. კვლევის მთავარი მეთოდია ტექსტების შედარებითი ანალიზი, რომელიც იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ არეოპაგიტული იდეების განვითარება და ტრანსფორმაცია ქართულ ლიტერატურაში სხვადასხვა პერიოდში.

პირველი ეტაპი მოიცავს პირველწყაროების კვლევას, კერძოდ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ორიგინალური ტექსტების და ეფრემ მცირის ქართული თარგმანების ანალიზს. კრიტიკულად გაანალიზდა არეოპაგიტული კონცეფტების ძირითადი პრინციპები სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ. ამისთვის გამოყენებულია ფილოსოფიური ტექსტების ანალიზის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გავიაზროთ ცნებების ონტოლოგიური და თეოლოგიური განზომილება.

მეორე ეტაპზე განხორციელდა ქართული ლიტერატურული ძეგლების ანალიზი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით: ადრეული ქრისტიანული პერიოდის ჰაგიოგრაფიული ტექსტები (შუშანიკის წამება, აბოს წამება), შუა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურა (იოანე მინჩხის ქმნილებები, დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი), რენესანსული ეპოქის ლიტერატურა (შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი) და რომანტიზმის პერიოდის პოეზია (ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, დავით გურამიშვილი). თითოეული ტექსტის ანალიზისას გამოყენებულია ჰერმენევტიკული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გავიაზროთ მხატვრული ტექსტების ღრმა ფილოსოფიური შინაარსი.

გამოყენებულია ინტერტექსტუალური ანალიზის მეთოდი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ურთიერთობს ლიტერატურული ტექსტები არეოპაგიტულ ფილოსოფიურ წყაროებთან. ამ მეთოდის საშუალებით გამოვლინდა პირდაპირი და ირიბი გავლენები ფსევდო-დიონისეს მოძღვრებისა ქართულ ლიტერატურაში. ასევე გამოყენებულია კომპარატივისტული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შევადაროთ არეოპაგიტული იდეების ასახვა სხვადასხვა ლიტერატურულ ეპოქაში და გამოვავლინოთ მათი განსხვავებები და მსგავსებები.

კვლევაში გამოყენებულია მეორეული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც მოიცავს ქართველი და უცხოელი მკვლევარების შრომებს არეოპაგიტიკის, ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მ. მახარაძის, შ. ნუცუბიძის, შ. ხიდაშელის, მ. კაკაბაძის, რ. თვარაძის და მ. ჯალიაშვილის კვლევებს, რომლებიც არსებითად შეისწავლიან არეოპაგიტული მოძღვრების გავლენას ქართულ ლიტერატურაზე. კვლევის თეორიული საფუძველი ასევე მოიცავს ა. ლოსევის შრომებს აღმოსავლური რენესანსისა და ნეოპლატონიზმის შესახებ.

მეთოდოლოგიური მიდგომა ინტერდისციპლინარულია და აერთიანებს ლიტერატურათმცოდნეობის, ფილოსოფიის და თეოლოგიის კვლევის მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ მრავალმხრივი და სიღრმისეული შედეგები.

შედეგები და მსჯელობა. კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართების პრობლემატიკა ერთ-ერთი საკამათო და მნიშვნელოვანი საკითხია ფილოსოფიურ და ლიტერატურულ აზროვნებაში. ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შემდეგ ეს თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არეოპაგიტული თეოლოგიის კონტექსტში, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელთან არის დაკავშირებული. არეოპაგიტული მოძღვრების მიხედვით, სიკეთე წარმოადგენს პირველარსს, ღვთაებრივ

სინათლესა და სრულყოფილებას, ხოლო ბოროტება არ არის დამოუკიდებელი არსი-იგი არის სიკეთისაგან დაცლა, მისგან დაშრება.

რომანტიზმის ეპოქის ლიტერატურაში ამაღლებულის ასახვის ერთ-ერთი მხატვრული საშუალება, სწორედ, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებაა. ეს საკითხი არა მხოლოდ რომანტიზმში, არამედ ყველა ლიტერატურულ მიმართულებაში აქტუალურია. რომანტიკული პოეზიის იდეის საფუძვლიანად გააზრებისათვის სიკეთისა და ბოროტის ურთიერთმიმართების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია არეოპაგიტული მოძღვრების კონცეპტები სიკეთისა და ბოროტების შესახებ, ფსევდო-დიონისეს თეოლოგიური და ფილოსოფიური მსჯელობანი, ამ გააზრებების იდეური კავშირი ქართულ ლიტერატურასთან.

სიკეთის აბსოლუტურობაზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსები, რაც არეოპაგიტულ მოძღვრებაშიც აისახა: „არეოპაგიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მოძღვრება სიკეთეზე. ფსევდო-დიონისემ პლოტინესა და პროკლეს ფილოსოფიის საფუძველზე აღიარა სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა“ (მახარაძე, 2011, გვ. 30). ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების თანახმად, სიკეთე არის აბსოლუტური სრულყოფილება, მომდინარეობს პირველმიზეზისაგან და ამასთან, თვითონვეა სიკეთე: „სახიერებაჲ და სიკეთე ერთობითი არს ყოველთა და მრავალთა კეთილთა მიზეზისაი მისი“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 1961, გვ. 29). არეოპაგელის მოძღვრების საფუძველზე აკადემიკოსი ლოსევი მიუთითებს: „სიკეთე არის იგივე პირველი ერთი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი თვისებრივად უფრო სრულია“ (ლოსევი, 1972, გვ. 146).

პირველ ერთთან შედარებით, სიკეთის არასრულობა გამოიხატება ბოროტების არსებობით. იქ სადაც ბოროტებაა, სიკეთე შემცირებულია. მაგრამ, თუ სიკეთე ღმერთისაგან მომდინარეობს და ყოველივე ღმერთის შექმნილია, მაშ, რატომ არ არის ყველგან სიკეთე და რატომ არსებობს ბოროტი? არეოპაგელი აღნიშნულ საკითხს ასე განმარტავს: „ხოლო რომელი რაჲ ვერ მიიღებს ნათელსა მისსა, ესე არა უძლურებაჲ არს, არცა სიმცირისაჲ ნათელ-მიმცემლობისა მისისაჲ, არამედ უმარჯვობისაგან ნათელ-მიმღებელთაჲსა“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 1961, გვ. 33).

საკითხის სრლყოფილად გააზრებისათვის მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რომელი პერიოდის ლიტერატურაში ჩნდება სიკეთისა და ბოროტების არეოპაგიტული გააზრება. განსაკუთრებით საინტერესოა, არეოპაგიტიკის ქართულად თარგმნამდე (XI საუკუნუმდე) როგორი იყო სიკეთისა და ბოროტის კონცეფცია ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ეფრემ მცირეს მიერ არეოპაგიტული ტექსტების თარგმნამდე ქართულ ლიტერატურაში სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება წარმოდგენილი იყო ძირითადად ბიბლიურ-ქრისტიანული დუალიზმის ჩარჩოში, თუმცა, არ იყო ჩამოყალიბებული ფილოსოფიურად სისტემური კონცეფცია.

ადრეულ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ ტექსტებში სიკეთე აღიქმებოდა როგორც ღვთის ნება, ნათელი, ჭეშმარიტება. ბოროტება - როგორც ცოდვა, ეშმაკის ქმედება, ადამიანის თავისუფალი ნების დაცემა. ბოროტება არსებობდა რეალურ ძალად, რომლიც უპირისპირდებოდა სიკეთეს. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, მაგ., შუშანიკის წამება, აბოს წამება, ბოროტება გარედან მომავალი მტრული ძალაა, რაც გამოიხატება წარმართთა მიერ ქრისტიანების დევნაში, ძალადობაში, მტარვალთა მომრავლებაში. ხოლო სიკეთე ისახება სარწმუნოების ერთგულებაში.

არეოპაგიტული ტექსტების თარგმნამდე სიკეთე და ბოროტება განიხილებოდა ეთიკური კატეგორიების დონეზე და არა (ან ნაკლებად) ონტოლოგიურ ფილოსოფიურად. ბოროტება არ იყო გააზრებული, როგორც „არარსებობა“ ან „ნაკლებობა“, იგი წარმოდგენილი იყო დამოუკუდებელი მოქმედი რეალობა, ცალკე აღებული სუბსტანცია, რომელსაც ებრძოდა სიკეთე.

ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში არეოპაგიტული მოძღვრების გავლენა შეიმჩნევა იმ პერიოდიდანვე, როდესაც ეფრემ მცირემ (XI ს.) ქართულად თარგმნა არეოპაგიტული წიგნები. საფიქრებელია, რომ ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე არეოპაგიტული მოძღვრების ასეთი დიდი გავლენა და მისი პოპულარობა არეოპაგიტული თეოლოგიისა და ქრისტიანობის იდეურმა სიახლოვემ განაპირობა. მ. მახარაძე აღნიშნავს, რომ არეოპაგიტიკას მიიჩნევენ „ქრისტიანობის ნეოპლატონურ გადამუშავებად“ (ვ. ვინდელბანდი), „ნეოპლატონიზმის გადარგვად ქრისტიანობის ნიადაგზე“ (შ. ნუცუბიძე) (მახარაძე, 201, გვ. 10). ქრისტიანული მწერლობა ბოროტებას ისევე არასუბსტანციურად მოიაზრებს, როგორც ამას არეოპაგიტული მოძღვრება ქადაგებს. სიკეთის ნაკლებობის გამო ბოროტების წარმოშობას მოგვითხრობს ვეშაპის მიერ შთანთქმული იონას ეპიზოდი, რომელიც ნინევიაში გააგზავნა ღმერთმა მის მცნებას გადასული ხალხის დასამოძღვრად „კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაშჯიდნენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონასსა; და აჰა ესერა უფროს იონასსა არს აქა“ (მათე 12, 41). თვით იონასაც ეს სასჯელი უფლისაგან მიეზღო, რადგან იგი დაშორდა უფლის მცნებას, ანუ დაჰბადა ბოროტი და ამის საზღაურად დაინთქა ვეშაპის მუცელში, რომელიც ჯოჯოხეთის ანალოგიაა - ბოროტებას განასახიერებს, ხოლო ვეშაპის დამარცხება ბოროტების დათრგუნვას ნიშნავს. ჰიმნოგრაფთა ვედრებაა უფალმა იმ განსაცდელისაგან დაიხსნას, რომელიც ბოროტების გამო მიეზღოთ: „ გამოხსნად ჩუენდა მოხუედ, დამბადებელო, რომელი შთავენთქენით მძლავრებით მტერსა, ვეშაპსა კაცისმკვლელსა და მოჰკალ იგი“ (იოანე მინჩხი, 295-296).

სასულიერო მწერლობა ბოროტებას იაზრებს, როგორც უარსო მოვლენას, რომელიც მოწყვეტილია მარადისობას. არეოპაგიტული მოძღვრების მიხედვით, ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა, რასაც წარმოშობს პირველმიზეზთან სიშორე. რაც უფრო შორდება ადამიანი ღმერთს და მიელტვის წუთიერ ვნებებს, იკლებს სიკეთე და მატულობს ბოროტი. კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართების არეოპაგიტული კონცეპტი ჩანს დავით აღმაშენებლის საგალობელში „გალობანი სინანულისანი“:

„ბუნებითი რაი ძალნი არა სჯულთაებრ ვიხუმიენ,
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი,
ხილულთა-მიერსა გემოვნებასა
ვრცელად განუხუენ გრძნობანი“ (აღმაშენებელი, 1989, გვ. 19).

ჩვენ მიერ ხაზგასმული სტრიქონი მიუთითებს, რომ ბოროტი ღმერთისაგან (პირველმიზეზისაგან) კი არ მოდის, არამედ მისი წარმომშობი ადამიანია. „აღმაშენებელს სწამს, ღმერთი - შემოქმედია კეთილისა, მისთვის ბოროტი მეორეული მოვლენაა, წარმავლობაა. კეთილი არს მარადიული. მისი გაგებით, ბოროტი შეიქმნა იქ, სადაც კაცი ვერ ავიდა თავისი სახის სრულყოფილებამდე. მიზანი ადამიანისა არის სრულყოფა -ღმერთის დარად. აქ უკვე კაცში იმარჯვებს აბსოლუტური „კეთილობაი“ (მარადიული კეთილი)“ (კაკაბაძე, 1962, გვ. 138).

რენესანსულმა მწერლობამ არეოპაგიტული ფილოსოფია, ფაქტობრივად, საფუძვლად გაიხადა. ეს ფილოსოფია მოიცავდა არა მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების პრობლემას, არამედ - სასრულისა და უსასრულოს დაპირისპირებას, ზეცისა და მიწის კავშირს...

„არეოპაგიტულმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა XI-XII საუკუნეების ქართულ საერო ლიტერატურაზე. ამ ეპოქის მეხოტბეთათვის (შავთელი, ჩახრუხაძე) არეოპაგიტულ მოძღვრებაში გატარებული თვალსაზრისი ღვთაების მიუღწევლობისა და შეუცნობადობის შესახებ საერთო მსოფლმხედველობრივ ფონს წარმოადგენს“ (ხიდაშელი, 1962, გვ. 259). რენასანსის ეპოქის ლიტერატურამ კიდევ უფრო მეტად გაიზიარა და შეითვისა ფსევდო-დიონისეს ფილოსოფიური განაზრებანი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ აისახა კეთილისა და ბოროტის არეოპაგიტული გააზრება რენესანსულ ლიტერატურაში.

მ. მახარაძე მიუთითებს: „სიკეთისა და ბოროტების მიმართების თვალსაზრისი ნეოპლატონიზმიდან გადადის ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში - არეოპაგიტიკაში, სადაც ნეოპლატონიზმი „გადარგულია“ ქრისტიანულ ნიადაგზე და საუკუნეების შემდეგ ამ საკითხზე არეოპაგიტულ თვალსაზრისს პეტრიწისეული რედაქციით, „პოეტური ფორმით“ გადმოგვცემს რუსთაველი“ (მახარაძე, 2011, გვ. 365).

„ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველს ჩამოყალიბებული აქვს არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთის შესახებ. პოემაში სიუჟეტი იმგვარად ვითარდება, რომ, სადაც სიკეთე იკლებს, კეთილის ადგილს იჭერს ბოროტი. პერსონაჟებმა თვითონვე უნდა სძლიონ ბოროტს, სულიერი განწმენდის საფუძველზე მოიპოვონ ღვთაებრიობა, მიუახლოვდნენ პირველ ერთს, ამით შეამცირებენ ბოროტებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი ძალიან კარგად იცნობს არეოპაგიტულ მოძღვრებას, რასაც თვით ტექსტში ნახსენები „ბრძენი დივნოს“ მიუთითებს, ამასთან, პოემა მთლიანად არეოპაგიტული იდეებით საზრდოობს და მასში ფსევდო-დიონისეს მოძღვრებათა მთელი სისტემაა ასახული. ამ საკითხზე შ. ნუცუბიძე სრულიად სამართლიანად მიუთითებს: „რუსთაველის შემოქმედებამ ასახა არა არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი, როგორც შეხედულებათა ფილოსოფიური სისტემა, არამედ - გონებრივი განწყობილება XII საუკუნის საქართველოს მოწინავე წრეებისა, სადაც ფართო აღიარება ჰქონდა მოპოვებული არეოპაგიტულ იდეებს სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების წარმავალი, არარეალური ხასიათის, სიყვარულისა და მშვენიერების შესახებ“ (ნუცუბიძე, 1976, გვ. 347). ზემოთ აღნიშნული ეს განწყობილებები არც შემდგომი დროის მწერლობისთვისაა უცხო.

არეოპაგიტულ გავლენებზე მიუთითებენ დავით გურამიშვილთანაც. რევაზ თვარაძე წერს: „დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობაში, ფაქტობრივად, წერტილი დაესვა აზროვნების იმ მიმართულებას, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერიელის) მოძღვრებაში იღებდა სათავეს. შემდეგი დროის მოაზროვნენი (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა) სხვა წყაროებით საზრდოობდნენ და აღნიშნულ ნაკადს უფრო ინტუიტიურად ესწრაფვოდნენ, ვიდრე ცნობიერად“ (თვარაძე, 1985, გვ. 287).

ჩვენ გადაჭრით არ შეგვიძლია თქმა, იცნობდნენ თუ არა ქართველი რომანტიკოსები ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას სიკეთის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, სხვა თეოლოგიურ თუ ფილოსოფიურ წყაროებთან ერთად, ქართულ რომანტიზმში ჩანს არეოპაგიტული ნაკადის კვალი სიკეთის კონცეპტის შესახებ.

ქართულ რომანტიზმში სიკეთე მოიაზრება, როგორც საწყისი, რომელიც მომდინარეობს პირველმიზეზისაგან, ხოლო ბოროტებას იწვევს სიკეთის ნაკლებობა. რომანტიზმში ასახულია არეოპაგელის არა ფილოსოფიური ტრაქტატი სიკეთის შესახებ, არამედ - იდეა სიკეთის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. ეს იყო საერთო განწყობა XIX საუკუნის საქართველოში.

რაში მდგომარეობს სიკეთისა და ბოროტების არსი რომანტიკული გაგებით? ეს საკითხი მრავალმხრივ შესწავლას გულისხმობს, რადგან რომანტიკოსებმა წარმოსახვით შექმნეს იდეალური სამყარო და ცდილობდნენ მის რეალობაში განხორციელებას. ამ იდეალური სამყაროს წყობის ერთ-ერთი რგოლი ღვთაებრივი სიკეთეა, რომლის ნაკლებობაც წარმოშობს ბოროტს.

რა არის სიკეთე? XIX საუკუნის მწერლობაში მთავარ სიკეთედ აღიქმება სახელმწიფოებრივი და პიროვნული თავისუფლება. სწორედ ამ თავისუფლების შეზღუდვამ განაპირობა სიკეთის კლება და ბოროტის მატება. საინტერესოა, რომელი მხატვრული სახეების მეშვეობით აისახება ბოროტისა და კეთილის ურთიერთმიმართება რომანტიზმში და რა გარემოება განაპირობებს ამგვარ მსოფლმხედველობრივ საფუძველს. რომანტიკოსებს ამქვეყნიური ყოფა ესახებოდათ, როგორც „სამყო ძნელი“, „ჭმუნვის ალის

მჩვენებელი“, ბოროტებისა და სიცრუის ჭური, მუხთალი და უნდო, განძარცვული სიკეთისაგან. ადამიანი დაშორდა პირველ ერთს, დაივიწყა ზნეობრივი ყოფა, ღმერთთან დაშორებამ წარმოშვა ბოროტება.

რომანტიზმში ბოროტება ხანგრძლივი მოვლენაა, სიკეთე კი „წამისმყოფობით“ ხასიათდება. კეთილისა და ბოროტის ამგვარი დახასიათება რომანტიკულ პოეზიაში განაპირობა ერის სულიერმა გატეხამ (არაერთხელ თქმულა ეს ოფიციალურ კვლევებში), ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ განსაზღვრა კერძო ადამიანთა ბედი. ბოროტებას რომანტიკულ პოეზიაში წუთისოფლური ბედის მხატვრული სახე განასახიერებს. ბედი მუდმივად უარყოფითია, მისი წარმომავლობა ამქვეყნიურია, იქ, სადაც ნაკლებია ღვთიური განგება, ანუ სიკეთე, წარმოშობილია ბოროტი.

რომანტიკული ლიტერატურის მიხედვით, წუთისოფელი ბოროტებას მოუცავს, ბოროტი ცდილობს სიკეთის დათრგუნვას, სწორედ ესაა საფუძველი ქვეყანაში გამეფებული ყოველგვარი უბედურებისა, სიკეთის ნაკლებობა წარმოშობს ნგრევას, ნადგურისცემას. რომანტიზმის პირველივე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში სიკეთე დაკავშირებულია პირველსაწყისთან. სიკეთე მომდინარეობს ღმერთისაგან, ხოლო ადამიანების მიერ მისი ვერშეცნობის, კეთილის დათრგუნვის შედეგად იშვება ბოროტი. პოეტის ეს მსოფლხედვა ჩანს ლექსში: „ვაჰ, სოფელსა ამას“, სადაც ავტორი აღწერს კეთილის დათრგუნვის ტრაგიკულ შედეგებს:

„ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა, ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილ-მოყვარების დათრგუნვის მსურთა,
უსაფუძვლოთა - მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“...
(ჭავჭავაძე, 1975, გვ. 55).

პოეტი აშკარად მიგვანიშნებს ბოროტების არასუბსტანციურობაზე, უარსობაზე, აღნიშნავს, რომ „კეთილმოყვარეობის“ დათრგუნვით, „კეთილ-მოქმედთა“ ძრახვით ქვეყნად ბოროტებამ დაისადგურა, ამქვეყნიური სიამოვნებისათვის, „სარგებლისათვის“ ივიწყებენ უფალს, რჯულს და ქრისტიანული ცხოვრების გზიდან უხვევენ. სიკეთის ნაკლებობა გამოწვეულია არა იმით, რომ აქ უფალმა სიკეთე ნაკლებად მიაფინა, არამედ იმით, რომ ხალხმა დაივიწყა რჯული და განეშორა კეთილს. სიკეთის კლებამ განაპირობა ყოველივეს რღვევა. პოეტს სწამს, რომ სიკეთისაგან განშორება და უფლის დავიწყება დაუსჯელი არ დარჩება:

„გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისდავე მიექცევის,
ყველაკაი წარუვალს, განელევის, რაცა ჰქონდათ პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ (ჭავჭავაძე, 1975, გვ. 56).

სამყაროში ყველანაირი წესრიგის რღვევის მიზეზი სიკეთისაგან გადახრაა, სიკეთის ნაკლებობამ განსაზღვრა პიროვნების ტრაგიკული სულიერი მდგომარეობა, რაც დაცემასა და გადაგვარებაში გამოიხატა. ალ. ჭავჭავაძის ეს ლექსი რამდენადმე ეხმიანება დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ერთ ეპიზოდს - „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, სადაც აღწერილია სიკეთისაგან გადახრის, ცოდვის გამრავლების შედეგები:

„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა:
ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა;
ვენახით უწვიმის სეტყვანი, მზგავსნი ნახეთქი ლოდისა,
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა“ (გურამიშვილი, 2014, გვ. 37).

აღნიშნულ სტრიქონების კონცეპტით, ბოროტება, რღვევა, დაშლა გამოიწვია ცოდვით დაცემამ, სიკეთის ნაკლებობამ, უფლისაგან მოფენილი სიკეთის ვერშეცნობამ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი საუბრობს, რომ სიკეთის კლება იწვევს რღვევას, არეულობას, მაგრამ ეს არეულობა ყოველთვის ბოროტი შეიძლება არ იყოს. ალ. ჭავჭავაძისა და გურამიშვილის პოეტურ თხზულებათა მიხედვით, სიკეთისაგან გადახრა იწვევს კანონზომიერ შედეგს.

„დავითიანის“ აღნიშნული სტროფის მიხედვით ღმერთმა ხალხს ბოროტება კი არ მოუვლინა, არამედ - ცოდვის პროვიდენციული სასჯელი.

შეუძლებელია, დავით გურამიშვილს, როგორც ღრმად მორწმუნე პოეტს, ბოროტების წარმომშობად ღმერთი მოეაზრებინა. მ. მახარაძე, არეოპაგიტულ მოძღვრებაზე დაყრდნობით, განმარტავს: „ბოროტების წარმომშობი არ შეიძლება იყოს ღმერთი და, საერთოდ, ღვთაების სამეუფოში ბოროტებას ადგილი არ აქვს. ის, რაც ჩვენ ბოროტება გვგონია, სინამდვილეში არის სიკეთის ძალის შესუსტება. სინამდვილეში არსებულ უწესრიგობას საფუძვლად ბოროტება კი არ უდევს, არამედ - სიკეთის კლება“ (მახარაძე, 2011, გვ. 89-90). ალ. ჭავჭავაძისა და დავით გურამიშვილის ტექსტებში აღწერილი მოვლენები არის სიკეთის კლების შედეგი.

საინტერესოა სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხის გააზრება გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. პოეტმა სიკეთე განიხილა, როგორც წამიერი მოვლენა, მუდმივად ცვალებადი სუბსტანცია:

„ამა ურწმუნო სოფლისა ადრე ვისწავლე მუხთლობა,

მისსა ყოველსა კეთილსა აქვს მხოლოდ წამი მყოფობა...“

„ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,

შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?“ (ორბელიანი, 1975, გვ. 218).

გრ. ორბელიანს მტკიცედ სწამს სიკეთის არსებობის, მაგრამ მიაჩნია, რომ სიკეთე ცვალებადია, იგი დროებით „იცვლის ფერს.“ წარსული პოეტისათვის აბსოლუტური სრულყოფილებაა, ჟამთა სიავემ სიკეთე შეამცირა, თუმცა პოეტი მაინც ხედავს იმედს, როემლიც თამარ მეფის ხატის ჩვენებით შემოდის ტექსტში. გრ. ორბელიანი სიკეთის მუდმივ ნაკლებობას ამქვეყნიურ ყოფნას უკავშირებს. სიკეთე არც მუდმივად არის და არც სამუდამოდ ქრება - ფერს იცვლის, შესუსტდება, მაგრამ არასოდეს ქრება. სიკეთე ხანდახან იკლებს და მის ადგილს ბოროტი იჭერს, სიკეთის კლების საფუძველი კი ღმერთთან დაშორებაა, რასაც კვლავ სიკეთის არეოპაგიტულ გაგებამდე მივყავართ: „რამეთუ ყოვლითურთ მოკლებაჲ ყოვლად შეუძლებელ არს, ხოლო ზოგს-რე მოკლებაჲ არა მით კერძოჲ მიიღებს ძალსა, ვინაჲ მოკლებულ არს, არამედ მიერ კერძოითა, ვინაი-იგი არა ყოვლითურთ მოკლებულ არს. რამეთუ მოკლებაი კეთილისაი არამედ ყოვლითურთ ბოროტ არს, არამედ კერძოდ ოდენ“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 1961, გვ. 54). არეოპაგელის მოძღვრებაზე დაყრდნობით, მ. მახარაძე განმარტავს: „სიკეთის აბსოლუტური დაკლება, გაუქმება შეუძლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სიკეთე დაკარგავდა თავის ფუნქციას“ (მახარაძე, 2011, გვ. 90).

გრ. ორბელიანის მსოფლხედვა სიკეთის შესახებ რამდენადმე უპირისპირდება სიკეთის არსის რუსთველურ გაგებას:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,

თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (რუსთაველი, 1986, გვ. 266).

ხაზგასმულ სტრიქონებში ნათლად ჩანს ეს დაპირისპირება. ორივე პოეტურ კონცეპტს საფუძვლად არეოპაგიტული სიკეთე უდევს საფუძვლად. თუმცა, გრ. ორბელიანი სიკეთეს მხოლოდ „წამის მყოფობით“ ახასიათებს და მიუთითებს, რომ სიკეთის ნაკლებობას ამქვეყნიური ყოფა განაპირობებს, ხოლო რუსთველისეული სიკეთე „ხანგრძლივია.“ ჩვენი შეხედულებით, პოეტთა მსოფლხედველობრივი სხვაობა გამოწვეულია იმ ეპოქათა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით, რომელშიც შეიქმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და გრ. ორბელიანის პოეზია.

რუსთველის მსოფლხედვასთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძე წერს: რუსთაველის ამ სტროფში, „რომელშიც პოეტურადაა გადმოცემული არეოპაგიტიკის იდეების სისტემა, რუსთაველის შემოქმედების ძირებია მოცემული. აქედან საზრდოობს მისი ოპტიმიზმი,

რომელიც ასახავს მისი თანამედროვე ქართული საზოგადოების საუკეთესო ადამიანთა ოცნებებსა და იმედებს. ცხოვრება არის ბრძოლა, რომელიც მწარე მომენტებსაც შეიცავს, მაგრამ ეს მხოლოდ მომენტებია და მეტი არაფერი“ (ნუცუბიძე, 1976, გვ. 367).

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე შემოქმედისათვის სიკეთე ღვთაებრივია. რუსთაველთან ეს ნათლად იკვეთება, რაც შეეხება გრ. ორბელიანის ლექსებს, აქ სიკეთის ფერისცვალება მის ერთსაწყისობას უნდა გულისხმობდეს. ამქვეყნად არსებობს მხოლოდ ერთი საწყისი - სიკეთე, რომლის ნაკლებობაც იწვევს ბოროტებას, ხოლო ამ საწყისის, ანუ სიკეთის ნაკლებობა გამოწვეულია უფალთან, ანუ პირველსიტყვასთან, ლოგოსთან დაშორებით.

ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ შინაარსიც ამგვარ პოეტურ ხედვას ეყრდნობა - ქართველმა ხალხმა დაივიწყა რწმენა, დაშორდა უფალს, რწმენის შესუსტების სიმბოლოდ ავტორი დარღვეულ ტაძარს წარმოგვიდგენს, ხოლო ტაძრამდე „მიუვალი“ გზა მიგვანიშნებს, რომ უფლის სახლი ყველასაგან დავიწყებულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ნ. ბარათაშვილის „მერანისა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ კავშირზე. „მერანი“ სიკეთესთან დაახლოების მცდელობას წარმოადგენს. „იგი გვაგონებს ბედისწერის წინააღმდეგ ამხედრებულ ავთანდილს, რომელსაც ტარიელის შველა, ნესტანის პოვნა, ქაჯეთის ციხის აღება - წარმოუდგება არა სხვისი, არამედ საკუთარი ბედნიერების გზაზე გადასალახავ დაბრკოლებებად... „მერანი“ თავისი სულისკვეთებით ეხმიანება ბოროტების ძლევის „ვეფხისტყაოსნისეულ“ კონცეფციას. ბარათაშვილის რწმენა, რომ ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“ - რუსთაველის - „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიას“ გამოძახილია (რომელიც, თავის მხრივ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას ეფუძნება)“ (ჯალიაშვილი, 2016, გვ. 68). ეს მიუთითებს, რომ რომანტიკოსი პოეტი ისეთივე თავგამეტებით იბრძვის სიკეთის ზეობისათვის, როგორც სხვა საუკუნის გმირი - რაინდი ავთანდილი. მათ საერთო მორალური და ეთიკური მრწამსი გააჩნიათ - სიკეთე, ბოროტების დათრგუნვა და მომმეთათვის „გზის გაადვილება“. ორივე მათგანის მსოფლმხედველობის თეორიულ წყაროს წარმოადგენს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება სიკეთის შესახებ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბოროტება რომანტიზმში განხილულია სიკეთის ნაკლებობის შედეგად წარმოშობილი უარსო მოვლენად (და არა მეორე საწყისად), რომელიც სიკეთის ნაკლებობით გაძლიერდა. რომანტიზმში სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების ამგვარი გაგება შეცდომა იქნებოდა, რადგან პოეტები აშკარად მიანიშნებენ, რომ წუთისოფლის ბრუნვა იწვევს ადამიანის დაშორებას ღმერთთან. ბოროტება რომ არასუბსტანციურია, ამ კონცეპტის ნათელყოფაა ნ. ბარათაშვილის ლექსი „ჩჩვილი“. დაბადების მომენტიდან ადამიანში მხოლოდ ერთი საწყისია - სიკეთე, ჩვილი მთლიანად სიკეთეს განასახიერებს, იგი ღმერთის, ანუ სიკეთის წიაღიდან გამოდის, რასაც მოწმობს „სასუფევლის ენით“ ტიკტიკი, ღვთის სამყოფელში ბოროტების ადგილი არ არის, ჩვილში პირველყოფილი სიკეთეა განსახიერებული:

„მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის, მიყვარს სმენა უცნაურის მისი ხმის,
ოდეს იგი ენითა სასუფევლის უალერსებს წიაღთა თავის მშობლის“
(ბარათაშვილი, 1975, გვ. 266).

რომანტიზმში ბავშვი, ჩვილი სიკეთის სიმბოლოდ აღიქმება, იგი „ტრადიციული სიმბოლოა სიწმინდის, ცხოვრების ამაოებისაგან განწმენდის [ქვენა გრძნობებისაგან], უშფოთველობის, ანუ „სუფთა ფურცელი“, რომელზედაც ჯერ არ ასახულა „საწუთროს ვნება“... რომანტიკოსთა თვალთახედვით, მხოლოდ ჩვილია თავისი უმანკოებითა და სიწმინდით აწმყოს ბოროტი ვნებებისაგან განძარცვული.

ღმერთისაგან მომდინარე სიკეთე იქამდეა ადამიანში, მანამ ის ეზიარება წუთისოფლურ ცდუნებებს, დაშორდება უფალს. ნ ბარათაშვილის გაგებით, სასუფეველი ყოველგვარი სიკეთის წიაღია. ამქვეყნიურ ცხოვრებასთან ზიარება ამცირებს ადამიანში ღვთიურ სიკეთეს. მანამ ადამიანში ღვთიური სიკეთეა, იგი თავისუფალია წუთისოფლური ბოროტისაგან: „არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,/ არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას“. პიროვნებაში სულიერი გარდატეხა, სიკეთისა და ბოროტების გააზრება ამქვეყნიური ცხოვრების შეცნობით იწყება. სამყაროში არ არსებობს ბოროტება თავისთავადი სახით, მაგრამ არსებობს წუთისოფლური საცდური, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანის „დაკლება მსგავსებისაგან“.

არეოპაგიტული იდეის შემცველია ნ. ბარათაშვილის ლექსის „ხმა იდუმალის“ შემდეგი სტრიქონები:

„რა ვჰსცან პირველად წუთისოფელი,
 დავშთე ადცგილი, სადაცა წრფელი
 რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
 სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“ (ბარათაშვილი, 1975, გვ. 256).

ბარათაშვილის პოეზიაში ნათლად იკვეთება სიკეთის ერთსაწყისობა. ყოველგვარ არეულობას ადამიანური ცოდვები იწვევს. სიკეთისაგან გადახრის შედეგად ბოროტის აღმოცენების მაგალითია უდაბნოდ მდგარი ტაძრის პოეტური ხილვა. ლექსი „ვჰპოვე ტაძარი“ ამაღლებული განწყობით იწყება. პოეტის ხილვა სიკეთის ზეიმია. ტაძრის სიმბოლიკით ღვთიური სიკეთეა გადმოცემული, „მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?!“ მარადიული მშვენიერება გაქრა და სიკეთე კვლავ ჟამიერებამ, სასრულობამ ჩაანაცვლა, რასაც პოეტი ტრაგიკულ განცდამდე მიჰყავს. სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების კონტექსტში მნიშვნელოვანია უდაბნოს მხატვრული სახის გარკვევა. უდაბნოს ინტერპრეტაცია განსხვავებულია საერო და სასულიერო მწერლობაში. სასულიერო მწერლობაში უდაბნო გამოსაცდელი ადგილია, უფალი ორმოცი დღის განმავლობაში უდაბნოდ იყო გასული საღვთო მისიის აღსასრულებლად. ეს სივრცე ეშმაკის სამყოფელია, ამიტომ აქ ნაკლებადაა მოფენილი ღვთიური სიკეთე. უფლის გამოცდის ადგილი წინააღმდეგობებით აღსავსეა. „უდაბნოში გასვლა ქრისტიანობაში ცხოვრებისგან გაქცევას არ ნიშნავს; ეს არის შეგნებული ქმედება, რომლითაც წუთისოფელი დაიძლევა. „სოფლის ძლევა“ ორგვარად ხორციელდება: ინდივიდუალურად, როცა განმარტოებული მორწმუნე საკუთარი თავის შეცნობის გზით აღმოაჩენს უფალს და ღვთიურ მადლს ეზიარება; და უდაბნოში ღვთიურ მადლს მოკლებულ ადგილას ეკლესიური სივრცის დამკვიდრების გზით. ამქვეყნიური, ჯოჯოხეთური ადგილი სამოთხის წინასახედ გარდაიქმნება“ [დოიაშვილი, ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა/* ჩემი სამშობლო], ბოროტებას უპირისპირდება სიკეთე. უდაბნო, მანამ იქ ქრისტე მივიდოდა, ბოროტებას განასახიერებდა, მოკლებული იყო ყოველგვარ ესთეტიურობას, ხოლო მას შემდეგ, რაც ქრისტემ დაამარცხა ეშმაკი, უდაბნო სამოთხედ იქცა. სიკეთემ, ანუ პირველსაწყისმა ჩაანაცვლა ბოროტი. საერო მწერლობაში უდაბნო ცხოვრებას განასახიერებს, ბარათაშვილის ლექსშიც უდაბნო ცხოვრების სიმბოლოა. ამქვეყნიურ ყოფაში სიკეთის ძალის შესუსტებამ გამოიწვია ტაძრის რღვევა. ამქვეყნიური ცხოვრება კი ჟამიერია, იგი ბოროტებას განასახიერებს. ამიტომ, უდაბნოდ აშენებული ტაძარი მარადიული ვერ იქნება. ლექსის ფინალში სრული კრახია აღბეჭდილი. მუხთალმა საწუთრომ შთანთქა ყოველი კეთილი, რასაც სიმბოლურად ტაძარი განასახიერებდა და კვლავ ბოროტებამ დაიდო სავანე მიწიერ სამყოფელში.

დასკვნა. ამრიგად, ქართულ რომანტიკულ პოეზიაში სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხს არეპაგიტული მოძღვრება უდევს საფუძვლად. როგორც აღვნიშნეთ, რომანტიკოსები შესაძლოა, არ იცნობდნენ არეოპაგიტულ ფილოსოფიას,

მაგრამ ეს იყო ტრადიცია, რომელიც ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა რენესანსულმა მწერლობამ. ეს ტრადიცია ინერციით გაგრძელდა შემდეგი დროის ლიტერატურაშიც. საკითხზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ რომანტიკოსი პოეტებისათვის სიკეთე - ეს არის სახელმწიფოებრივი და პიროვნული თავისუფლება, რომლის შეზღუდვა სიკეთისაგან გადახრას გულისხმობს. სიკეთის კლებამ წარმოშვა ბოროტი ძალა, რაც საფუძველი გახდა ყოველგვარი რღვევისა. რომანტიკოსი პოეტების მიერ სიკეთისა და ბოროტების ამგვარი აღქმა პოეტურადაა ასახული რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

აღმაშენებელი, დავით. (1989). *გალობანი სინანულისანი.* თბილისი.

ბარათაშვილი, ნ. (1975). *ქართული პოეზია.* შემდგენელი - ცაიშვილი ს.. ტ. VI. თბილისი: „ნაკადული“.

გურამიშვილი, დ. (2014). *დავითიანი.* თბილისი: „პალიტრა L”.

თვარაძე, რ. (1985). *თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა.* თბილისი: „განათლება“.

კაკაბაძე, მ. (1983). *ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ლოსევი, ა. (2005). *აღმოსავლური რენესანსი.* მთარგმნელები: მიხეილ მახარაძე, პაატა ჩხეიძე. ბათუმი.

მახარაძე, მ. (2011). *არეოპაგიტიკა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები, გავლენა.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

ნუცუბიძე, შ. (1976). *შრომები.* ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ორბელიანი, გრ. (1975). *ქართული პოეზია.* შემდგენელი - ცაიშვილი ს.. ტ. VI, თბილისი: „ნაკადული“.

პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). (1961). *შრომები.* ეფრემ მცირის თარგმანი. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რუსთაველი, შოთა. (1986). *ვეფხისტყაოსანი.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. (1960). X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მ. შანიძემ თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჭავჭავაძე, ალ. (1975). *ქართული პოეზია.* შემდგენელი - ცაიშვილი ს., ტ. VI. თბილისი: „ნაკადული“.

ჯალიაშვილი, მ. (2016). ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული ლიტერატურული ტრადიცია. *ძიებანი.* XXVII. თბილისი.: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

Хидашели, Ш. (1962). *Основные мировоззренические направления в феодальной Грузин.* Тбилиси.

REFERENCES

aghmashenebeli, davit. (1989). *galobani sinanulisani [Hymns of repentance].* Tbilisi.

baratashvili, n. (1975). *kartuli p'oezia [Georgian Poetry].* Compiled by S. Tsaishvili. Vol. VI. Tbilisi: "Nakaduli".

guramishvili, d. (2014). *davitiani. [Davitiani].* Tbilisi: "Palitra L".

tvaradze, r. (1985). *tkhutmet'sauk'unovani mtlianoba. [Fifteenth-century integrity].* Tbilisi: "Ganatleba".

k'ak'abadze, m. (1983). *kartuli romant'izmis erovnuli sapudzvlebi. [National Foundations of Georgian Romanticism].* Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

losevi, a. (2005). *aghmosavluri renesansi [Eastern Renaissance].* Translators: Mikheil Makharadze, Paata Chkheidze. Batumi.

makharadze, m. (2011). *areop'agit'ik'a, pilosopiuri msoplmkhedveloba, pilosopiuri da teologiuri ts'qaroebi, gavlena [Areopagitics, philosophical worldview, philosophical and theological sources, influence].* Tbilisi: Publishing House "Intellect".

nutsubidze, sh. (1976). *shromebi. [Works*]. Vol. IV. Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

orbeliani, gr. (1975). *kartuli p'oezia [Georgian Poetry].* Ccompiled by S. Tsaishvili. Vol. VI, Tbilisi: "Nakaduli".

p'et're iberieli (psevdo-dionise areop'ageli). (1961). *shromebi [Works].* Translated by Ephrem Mtsiri. Research and dictionary added by Samson Enukhashvili. Tbilisi: Stalin Tbilisi State University Publishing House.

rustaveli, shota. (1986). *vepkhist'qaosani. [The Man in the Tiger's Skin].* Tbilisi: „Sabchota Sakartvelo".

psalmunis dzveli kartuli redaktsiebi [Old Georgian Editions of the Psalms]. (1960). Published by M. Shanidze based on manuscripts of the 10th-13th centuries. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.

ch'avch'avadze, al. (1975). *kartuli p'oezia [Georgian Poetry].* Compiled by S. Tsaishvili. Vol. VI. Tbilisi: "Nakaduli".

jaliashvili, m. (2016). nik'oloz baratashvili da kartuli lit'erat'uruli t'raditsia [Nikoloz Baratashvili and the Georgian Literary Tradition]. *zhurnali [Dziebani].* XXVII. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.

Hidasheli, Sh. (1962). *Osnovnye mirovozzrenicheskie napravlenija v feodal'noj Gruzin [The main ideological trends in feudal Georgia].* Tbilisi